სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №27

ქ. თბილისი *06.09.2010 წ.*

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბატონ რომან ხარბედიას თანამდებობიდან გათავისუფლებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურის განხილვის შესახებ;
2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარდგენა.

სხდომას ესწრებოდა:

აკადემიური საბჭო: 9 წევრით.

წარმომადგენლობითი საბჭო: 25 წევრით.

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს წევრებს გააცნო ბატონ რომან ხარბედიას განცხადება - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე გაიმართა მსჯელობა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, რომ რომან ხარბედია ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ახლახანს დაამტკიცეს და კანცლერის ასე ხშირი ცვლა

შეიძლება არ იყოს უნივერსიტეტისთვის მიზანშეწონილი. ამავე დროს ცირა ბარამიძემ ბ-ნი ხარბედია დაახასიათა როგორც მაღალი დონის პროფესიონალი და შესანიშნავი პიროვნული თვისებების ადამიანი, რომელიც, მისი აზრით, კარგად ართმევდა თავს დაკისრებულ მოვალეობას. ქ-ნ ცირა ბარამიძეს დაეთანხმა აკადემიური საბჭოს წევრი ალექსანდრე შენგელაიაც, რომელმაც განაცხადა, რომ რომან ხარბედია მადლობას იმსახურებს იმ საქმიანობისათვის, რასაც ის ეწეოდა როგორც ჯერ კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი და შემდგომ კი კანცლერი. რომან ხარბედიას მიმართ თავისი დადებითი დამოკიდებულება გამოხატა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ელგუჯა მექვაბიშვილმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ბ-ნი ხარბედია, მისი აზრით, ნამდვილად იმსახურებს მადლობას, მაგრამ კარგი იქნებოდა კანცლერი თავად მოსულიყო სხდომაზე და განემარტა გადადგომის მიზეზები.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ აღნიშნა, რომ ის სხდომამდე შეხვდა ბ-ნ რომან ხარბედიას. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი დიდი პატივისცემა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიმართ, აღნიშნა რომ არ აქვს არავითარი პრობლემა უნივერსიტეტის არც ძველ და არც ახალ ხელმძღვანელობასთან და რომ ამის თაობაზე ამასწინათ პრესაშიც განაცხადა. ამავე დროს, რომან ხარბედიამ თავი შეიკავა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე მოსვლისაგან და კიდევ ერთხელ გაიმეორა თხოვნა მისი განცხადების დაკმაყოფილების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 20
წინააღმდეგი – 1
თავი შეიკავა – 4

მიღებული გადაწყვეტილება:

დაკმაყოფილდეს რომან ხარბედიას განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კახაბერ ლორიამ საბჭოს წევრებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად შესთავაზა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის, ბატონ დავით ჩომახიძის კანდიდატურა. სპიკერმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო კანდიდატის ბიოგრაფია და დაახასიათა ის. დავით ჩომახიძემ უპასუხა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე.
ამის შემდეგ სპიკერმა კახაბერ ლორიამ კენჭისყრაზე დააყენა დავით ჩომახიძის კანდიდატურა. კენჭისყრაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე – 25
წინააღმდეგი – 0
თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

დაინიშნოს დავით ჩომახიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო უნივერსიტეტის წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატების პროექტი. კანონმდებლობისა და თსუ-ს წესდების მიხედვით ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებმა. გაიმართა დისკუსია ზემოხსენებულ საკითხზე. აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: ცირა ბარამიძემ, შოთა სამსონიამ, თამარ შოთაძემ, გია ჟორჟოლიანმა. აკადემიური საბჭოს წევრებმა: ქეთევან მარშავამ, გიორგი დავითაშვილმა, ალექსანდრე შენგელაიამ.
გამოითქვა მოსაზრება, რომ კენჭისყრაზე ამჯერად დამდგარიყო მხოლოდ ის ცვლილებები და დამატება, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს 2010 წლის 16

ივლისს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებიდან, ხოლო თსუ-ს წესდების 39-ე მუხლში შესატანი ცვლილების განხილვა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს ფორმირებას ეხება, გადაედოთ მომავალი სხდომისთვის.

მსჯელობის დასრულების შემდეგ, ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა თსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატების პროექტი. კენჭისყრაში, კანონდებლობისა და თსუ-ს წესდების შესაბამისად, მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 0

თავი შეიკავა – 0

მიღებული გადაწყვეტილება:

მიღებულ იქნეს თსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილებებისა და დამატების პროექტი 39-ე მუხლის გამოკლებით და გადაეგზავნოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი		კახაბერ ლორია
სხდომის მდივანი		ბექა ბენდელიანი